ლალი ბაქრაძე, მარინა ციმაკურიძე, სანდრო კვერენჩხილაძე, გენადი კვერენჩხილაძე, ნინო ხაჭაპურიძე, მაია ციმაკურიძე, ნატო ხუნაშვილი, მაგდა ბარამიძე

თანამედროვე გამოწვევები შრომის დაცვის სფეროში და მისი ოპტიმიზაციის რეკომენდაციები

თსსუ, კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტი

Doi: https://doi.org/10.52340/jecm.2024.04.22

LALI BAKRADZE, MARINA TSIMAKURIDZE, SANDRO KVERENCHKHILADZE, GENADI KVERENCHKHILADZE, NINO KHACHAPURIDZE, MAIA TSIMAKURIDZE, NATO KHUNASHVILI, MAGDA BARAMIDZE

LABOR PROTECTION PROBLEMS IN GEORGIA

TSMU Department of Nutrition, Aging Medicine, Environmental and Occupational Health, Georgia

SUMMARY

The research was conducted on the example of mining and heavy industry to identify problems in the labor safety and labor protection system in Georgia. A tendency to increase the frequency of industrial accidents was revealed. Causes of industrial accidents basically in technical and organizational character, or is related to the disregard of the requirements provided by the legislation of Georgia.

Keywords: Labor protection, problems, Georgia

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) ბოლო წლების ანგარიშები მეტყველებს, რომ შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ტრავმები და დაავადებები მსოფლიოში ყოველწლიურად 347 მლნ-ზე მეტ ადამიანს აყენებს ზიანს. რაც შეეხება ამასთან დაკავშირებულ სამუშაო დროის დანაკარგებს, ისინი მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) თითქმის 4%-ის ეკვივალენტურია, ზოგ ქვეყანაში კი 6%-მდეც აღწევს [2,4]. როგორც შსო-ის ექსპერტები აღნიშნავენ, „მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული რისკების პროფილაქტიკა სულ უფრო და უფრო ეფექტიანი ხდება, ჩვენ მოწმენი ვართ ძირეული ცვლილებებისა იქაც, სადაც ვშრომობთ და იმაშიც, როგორც ვშრომობთ. ამიტომაც გვესაჭიროება, ერთი მხრივ, ამ ცვლილებების შესატყვისი შრომის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურები და მეორე მხრივ, პროფილაქტიკის საერთო კულტურა, რომელიც ერთობლივ პასუხისმგებლობას გულისხმობს“ [2,4]. ამ პასუხისმგებლობას, ბუნებრივია, ჩვენი ქვეყანაც იზიარებს, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაში შრომის უფლებების მატერიალური და ინსტიტუციური მექანიზმებით უზრუნველყოფის საკითხებიც მოიაზრება. ამიტომ ამ კუთხით კვლევის ჩატარება აქტუალობას არ კარგავს.

აღნიშნულთან დაკავშირებით 2019-2020 წლებში ჩვენი საავტორო ჯგუფის მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა [1], რომლის მიზანი იყო საქართველოს შრომის უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის სისტემაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება სამთომოპოვებითი და მძიმე მრეწველობის მაგალითზე. კვლევით დადგინდა, რომ ამ წლებში მოცემულ სექტორებში საწარმოო უბედური შემთხვევების სიხშირე - მატების, ხოლო ფატალური შემთხვევების რაოდენობა მცირეოდენი კლების ტენდენციას ავლენდა. დადგინდა, აგრეთვე, რომ როგორც საშუალო და მძიმე ტრავმების, ისე ფატალური შემთხვევების გამომწვევი მიზეზები, უპირატესად, ტექნიკურ-ორგანიზაციული ხასიათის იყო ან ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების იგნორირებას უკავშირდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებულმა კვლევამ არ მოგვცა სამთომოპოვებითი და მძიმე მრეწველობის სექტორებში არსებული შრომის დაცვის სისტემის ოპტიმიზაციის მექანიზმების შემუშავების საშუალება, რასაც დამატებითი კვლევა დასჭირდა.

აქედან გამომდინარე, **კვლევის მიზანს** შეადგენდა სამთომოპოვებით და მძიმე მრეწველობის დარგებში შრომის უსაფრთხოების სფეროში იდენტიფიცირებული პრობლემების გაღრმავებული ანალიზი და შრომის დაცვის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევის მიზნის შესაბამისად ჩამოყალიბდა შემდეგი **ამოცანები:**

1. სამიზნე ჯგუფებისგან ინფორმაციის მოპოვება შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
2. შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება შრომის პირობებთან დაკავშირებით.

კვლევის მეთოდები: დასახული ამოცანების გადასაწყვეტად გამოყენებული იყო როგორც **თვისობრივი**, ისე **რაოდენობრივი** კვლევის მეთოდები: მეორადი მონაცემების ანალიზი, სტატისტიკური ანალიზი, გამოკითხვა-ანკეტირება, ჩაღრმავებული ინტერვიუ. **მეორად მონაცემებად** გამოყენებულ იქნა სსიპ საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახურის წლიური (2019-2020) ანგარიშები; დამუშავდა ვიწრო - B და C სექტორების - მონაცემები (საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის, სეკ-2016-ის, შესაბამისად). რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან გამოყენებულ იქნა **გამოკითხვა-ანკეტირების** მეთოდი. სამიზნე ჯგუფად არჩეულ იქნენ არა მარტო შრომითი ურთიერთობების სუბიექტები - დასაქმებულები და დამსაქმებლები, არამედ შრომის ინსპექტორები, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები და მოცემული სფეროთი დაინტერესებული სხვა პირები. კვლევის ფარგლებში გამოკითხულია სულ 77 რესპონდენტი. **ჩაღრმავებული ინტერვიუს** მეთოდით ინფორმაცია შეგროვდა უშუალოდ დამსაქმებლებისგან - ვიწრო სფეროს, კერძოდ, სამთომოპოვებით და მძიმე მრეწველობის დარგების, წარმომადგენლებისგან, შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული პრობლემებისა და გამოწვევების დადგენის მიზნით;

კვლევის შედეგები: წინამორბედი კვლევის შედეგების ანალიზმა გამოკვეთა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო როგორც საკანონმდებლო საკითხებთან, ისე დამსაქმებელთა და დასაქმებულთა პირად პასუხისმგებლობასთან. ამიტომ შემდეგ ეტაპზე ჩატარდა მრეწველობის ამ სფეროებთან დაკავშირებული პირების გამოკითხვა. შერჩეულ იქნა სამიზნე ჯგუფი. სფეროების მიხედვით მათი ხვედრითი წილი მთლიან რაოდენობაში წარმოდგენილია პირველ დიაგრამაზე.

დიაგრამა N1



აღნიშნული პირების გამოკითხვით გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა 52% კარგად იცნობს შრომის უსაფრთხოების სამართლებრივ საფუძვლებს, თუმცა არიან ისეთებიც, ვინც საერთოდ არა (31,2%) ან მხოლოდ ზედაპირულად (31%) იცნობს საქართველოს კანონს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. გამოკითხულთა შორის ყველაზე ნაკლებია იმ პირთა წილი, რომლებსაც მხოლოდ გაგონილი აქვთ, რომ ასეთი კანონი არსებობს. როგორც აღმოჩნდა, კვლევის სუბიექტთა დიდ ნაწილს (39%) მიაჩნია, რომ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის შესრულებაზე პოზიტიურად

მოქმედებს მონიტორინგის მექანიზი. გამოკითხულთა უმეტესობის (37,7%) აზრით, კანონის შესრულებაზე ნეგატიურად მოქმედებს დასაქმებულთა და დამსაქმებელთა დაბალი ცნობიერება შრომის უსაფრთხოების საკითხებში, ხოლო 33,8% ამ საკითხში ძირითადად მონიტორინგის მექანიზმის არასრულყოფილებაზე ამახვილებს ყურადღებას.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია შემდეგი გარემოება: გამოკითხულთა უმეტესობა (61%-ზე მეტი) თვლის, რომ „შრომის უსაფრთხოების კანონის“ შესრულება აღსრულების სათანადო მექანიზმის გარეშე შეუძლებელია, რადგან დამსაქმებლები ყოველთვის ეცდებიან თავიანთი პირადი ინტერესების გატარებას კანონის გვერდის ავლით. დაბოლოს, დიაგრამა N2 გვიჩვენებს, რა ზომების მიღება მიაჩნიათ გამოკითხულ პირებს გადაუდებლად, რათა თავიდან იქნეს აცილებული საწარმოო უბედური შემთხვევები.

დიაგრამა N2



ზემოთ აღნიშნულთან ერთად, სამთომოპოვებით და მძიმე მრეწველობის სექტორებში შრომის უსაფრთხოების მხრივ არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის მივმართეთ ჩაღრმავებულ ინტერვიუს დამსაქმებლებთან, მათი ინფორმირებულობის, საქმიანობის, განწყობების, შეხედულებების, სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოების პროცესის შეფასებების მიზნით.

დამსაქმებელთა აზრით, შრომის უსაფრთხოება ნამდვილად არის პრობლემური საკითხი მათ სექტორებში, რაც ძირითადად განპირობებულია ორი მიზეზით, კერძოდ:

- შესაბამისი თანამშრომლობითი პლატფორმის არარსებობით პოლიტიკის გამტარებლებთან;
- სამუშაო პრაქტიკაში დასაქმებულეთა მხრიდან უსაფრთხოების ნორმების დაცვის აუცილებლობის უგულებელყოფით.

ამგვარად, ჩატარებული კვლევის შედეგები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოში შრომის უსაფრთხოება და შრომის დაცვა რეალური გამოწვევაა. არსებული ჩავარდნები ძირითადად განპირობებულია სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და საორგანიზაციო-ტექნიკური ხარვეზებით, რომლებიც ამ ეტაპზე შეგვიძლია ჩავთვალოთ ძირითად ორიენტირებად შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი საფუძვლების დახვეწა და შრომის დაცვის მართვის ორგანიზება სოციალური პარტნიორობის საფუძველზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. ბაქრაძე, მ. ციმაკურიძე, ს. კვერენჩხილაძე და სხვ., შრომის დაცვის პრობლემები საქართველოში. „ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა“, 2022; 3:37-41.
2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია „ILO“-ს ანგარიშები 2017, 2018, 2019, 2020.

3. შრომის უსაფრთხოებს შესახებ საქართველოს ორგანული კანონი;
4. „თამაშის წესები“, მოკლე შესავალი შრომის საერთაშორისო ნორმებში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია „ILO“ 2019;
5. „სამუშაო ადგილებზე რისკის შეფასება 5-საფეხურიანი სახელმძღვანელო“, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია “ILO“ 2014;
6. Хнырёва Е.С. Охрана труда на современном этапе развития // «StudNet», 2021; 6:1190-1197.
7. Баранов Ю.В. Актуальные проблемы в сфере охраны труда: анализ, оценки, решения // Социально–трудовые исследования. 2021; 1 (42):64-74.
8. Оглезнева Т.Н., Такасаев Р.А. Качественное обучение по охране труда как основополагающий фактор снижения травматизма // World science: problems and innovations. Сборник статей XIV Международной научно– практической конференции: в 2 частях. – Пенза, 2017; 256-257.

ლალი ბაქრაძე, მარინა ციმაკურიძე, სანდრო კვერენჩხილაძე, გენადი კვერენჩხილაძე, ნინო ხაჭაპურიძე, მაია ციმაკურიძე, ნატო ხუნაშვილი, მაგდა ბარამიძე

თანამედროვე გამოწვევები შრომის დაცვის სფეროში და მისი ოპტიმიზაციის რეკომენდაციები

თსსუ, კვების, ასაკობრივი მედიცინის, გარემოსა და პროფესიული ჯანმრთელობის დეპარტამენტი

რეზიუმე

ჩატარებულია კვლევა საქართველოს სამთომოპოვებით და მძიმე მრეწველობის დარგებში შრომის უსაფრთხოების სფეროში იდენტიფიცირებული პრობლემების ანალიზისა და შრომის დაცვის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის მიზნით. დადგენილია, რომ აღნიშნულ დარგებში ბოლო წლებში განვითარებული როგორც საშუალო და მძიმე ტრავმების, ისე ფატალური შედეგების ძირითადი გამომწვევი მიზეზები ტექნიკურ-ორგანიზაციული ხასიათისაა ან დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების უგულებელყოფასთან. აქედან გამომდინარე, შრომის დაცვის სისტემის ოპტიმიზაციის პრიორიტეტული მიმართულებები უნდა იყოს შრომის უსაფრთხოების სამართლებრივი საფუძვლებისა და შრომის დაცვის მართვის დახვეწა.